



მარტი 1934

№ 18 მკვლქი

ზანი 40 თბ.

# ნიანბი

არის ასეთი  
სიმახინჯავი:

დონს.  
ნაქ.

ზოგი დაწესებულების ხელმძღვა-  
ნელი სხვისი თავით აზროვნობს და  
სხვისი ხელით „აკეთებს“ საქმეს.

ეს მდივანია,  
ეს თანამშრომელი,  
ეს კოლეგიის  
ბრძენი წევრია.  
ასეთი გამგე  
და დირექტორი  
ზოგ საწარმოში  
კიდევ ბევრია.

ჩამოვარდნილი  
ჩვენს წარმოებას  
ისეთი გამგე  
და ხელმძღვანელი,  
რომ „ნაც სხვისგან“  
უხეხებია  
ან უთხოვია  
თავი და ხელი.





განთავსებულ ყრილობის ანგაჟიმებს შრომოდ თვალს გადაავლებდა მკვლავთაურებში.

ამს. სტალინის მოხსენებაც კი არ ჰქონდა გულდასმით წაკითხული.

ყრილობის შემდეგ ყველგან განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ყრილობის მუშაობის შესწავლასა და მისი დადგენილებების ცხოვრებაში გატარებას.

ყველგან შეუდგნენ მუშაობის გარდაქმნას ყრილობის დადგენილებების ნიადაგში.

სრულიად მოულოდნელი იყო აქცენტი მისი მდივნის თანამდებობის გაუქმება.

— ჩემი მარჯვენა ხელი იყო... იხუთლილი გამხადეს!— ამბობდა იგი კიდევ შეეცადა მდივნის დატოვება, მაგრამ მალე კოლეგის წვევრებაც გაუქმდა და აქცენტი ახლა ამაზე აწუწუნდა:

— წარმოების ტენი იყო... ხელი მომჭრეს, თავი მომჭრეს. ახლა რითი ვიმუშაო?

მან გადაწყვიტა ყრილობის მასალების შესწავლა და კიდევ შეუდგა ამ საქმეს.

აიღო ამს. სტალინის მოხსენება, რომელიც ახლახან გამოცა საქ. პარტიამ გამოცემულია.

მოხსენების ნახევარი ისე წაიკითხა, რომ თავის შესახებ აქცენტის სახელოთ არაფერი აღმოეჩინა.

მაგრამ აი მოხსენებაში იგი წააწყდა ასეთ ადგოლს:

„ქალები შეადგენენ ჩვენი ჭეყნის პოხანდობის ნახევარს. ისინი შეადგენენ შრომის უდიდეს არმიას და ისინი მონადებული არიან აღზარდონ ჩვენი ბავშვები, ჩვენი მომავალი თაობა, ე. წ. ჩვენი მომავალი. აი, რატომ არ შეგვაძლია ჩვენ დაფუძვით რომ მშრომელთა ეს უდიდესი არმია გაიყნოს ხიზნულში და უფეცობაში“. გვ. 57.

— ეს მე არ შემიძნება. მე ძალიან კარგად ვეპყრობი კოლს. წებან კოლში შეურაცხყოფაც მომეყენა, როცა მდივნისა და კოლეგის წვევრის მოხსენის შესახებ ვთქვა: ისინი ჩემი მარჯვენა ხელი და თავი იყვნენ-მეთქი. კოლში ასე მოთხრა: თუ მარჯვენა ხელი და თავი სხვისი გჭონდა, მაინც არ ვარგებულხარ დირექტორადო. დიას, ეს ჩემი შეურაცხყოფა იყო, მაგრამ კოლისთვის საყვედურად არ მოთქვამს... მაშინამდე ამს. სტალინის ეს სიტყვები მე არ შემიძნება... განვადროთ კითხვა:

„...ისინი აღტაცებული იწყებენ კუნტარუშს იმის მოლოდინში, რომ მალე არ ექნება არადიოთარი კლასები, — მასხადამე, არ ექნება კლასობრივი ბრძოლა, — მასხადამე არ ექნება ზრუნვა და მღერღვარება მასხადამე, შეიძლება დაუშვროთ. ისრადი და ძაღლს მივეცეთ უკლახნო საზოგადოების მოხელის მოლოდინში“ გვ. 67

ამ სიტყვებმა კი თავიდან დააფიქრა აქცენტი.

— ჩვენს შორის დარჩეს და, ეს ჩემზეა თქმული. სწორედ მეც ასე მეგონა. მაგრამ არსად არაფერი წამომცდენია და, მასხადამე, ამს. სტალინს სხვა ჰყავს მხედველობაში!— დაამზავდა თავისი თავი აქცენტის და კითხვა გააგრძელო:

„ჩვენში არის კიდევ მუშაკთა ორტიბი რომელნიც აფერხებენ ჩვენს მუშაობას, ხელს უშლიან ჩვენს მუშაობას, ხელს გვიშლიან წინ წავიდეთ“ გვ. 87.

— დავიღუპე, — ვაიფიქრა აქცენტის. — მგონი ჩემზე იწყება ლაპარაკი!— და გახადროს კითხვა:

„...ესენი არიან წარსულში განსაზღვრული დამსახურების მქონე ადამიანები. ადამიანები, რომლებიც „დიდაკებდალ“ ექცენ. ისინი ფიქრობენ რომ პარტიული და საბჭოთა კანონები დაწერილია არა მათთვის, არამედ ბრძოლებსათვის. ესენი სწორედ ის ადამიანები არიან, რომელთაც თავიანთ მოვალეობად არ მიანიათ ახსრულონ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი და რომლებიც ამნიარად ანგრევენ პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის საფუძველს...“ — თი იმისი იმედო აქვთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება, მათი ძველი დამსახურების გამო ვერ ვაბედავს ხელს ახლოს მათ... ისინი უწყყმანოდ უნდა მოვხსნათ ხოლმე ხელმძღვანელი მოხტებიდან. (ხმები: „მართალია“). ისინი უნდა გადავყენოთ ხოლმე თანამდებობებიდან ჩამოეჭვივებით... (ხმები: „მართალია“).

— მეც დავდასტურებ რომ მართალია! — ვაიფიქრა აქცენტის, რადგან: — მე არ შემიძნება, ვინაიდან „ძველი დამსახურება“ მე საიდან მექნება, როცა პარტიაში სულ რამდენიმე წელია, როცა მიმიღეს — და აქცენტის ჩქარობს წაიკითხვას მუშაკთა მეორე ტიპის შესახებ:

„მხედველობაში მყავს ტიპი მოლაყბებისა მე ვიტყვი, პატიოხანი მოლაყბებისა (სიცილი). პატიოხანო, საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგული ადამიანებისა, მაგრამ ხელმძღვანელობის უნარმოკლებულობის, რისიმე მოწყობის უნარმოკლებულობის...“

— დავიღუპე, ჩემზე იწყება ლაპარაკი! — ფერი ეცვალა აქცენტის, მაგრამ კითხვა მაინც განაგრძო:

„მარშან საუბარი მქონდა ერთ ასეთ მხანაგთან, ძალიან პატივცემულ მხანაგთან, მაგრამ გამოუსწორებელ მოლაყბებთან, რომელსაც შეუძლია ყოველგვარი ცოცხალი საქმე ჩაახშოს დაეცობაში. აი ეს საუბარი:

მე: — როგორ არის თქვენში თესვის საქმე.

მის: — თესვის საქმე, ამს. სტალინ, ჩვენ ჩავატარეთ მობოლიზაცია (სიცილი).

მე: — მერე რა.

მის: — ჩვენ პირდაპირ დავხვით ხაკითხი (სიცილი).

მე: — მერე, შემდეგ...  
მის: — ჩვენ გვაქვს გარდატეხა, ამს. სტალინ. მალე გვექნება გარდატეხა (სიცილი).

მე: — მაინც.  
მის: — ჩვენში ისახება ძვრანი (სიცილი).

მე: — კი, მაგრამ მაინც როგორი მდგომარეობაა თქვენში თესვის მხრით.

მის: — თესვის საქმეში ვერ არაფერი გამოდის, ამს სტალინ“ (საერთო სიცილი). გვ. 88

— თითქოს მე ვარ, მაგრამ თითქოს არცა ვარ. არა, მე არა ვარ. ამს. სტალინთან მე არასოდეს მქონია საუბარი ალბათ ეს სხე აქცენტია. მაგრამ იგი ოვანქორო მთლად ასე რაფერ დამემგავსა! — ვაიფიქრა აქცენტის და განაგრძო კითხვა:

„...სწორედ ასე, როგორც დაახსიათა ამის წინაღ ერთმა უკრაინელმა მუშამ ერთერთი ორგანიზაციის მდგომარეობა, როცა მას შეეკითხნენ ამ ორგანიზაციის ხაზის შესახებ: „რაც შეეხება ხაზს... ხაზი, რასაკვირველია არის, მაგრამ მუშაობა არა ჩანს“ (საერთო სიცილი)...“

— ეს მე ვიცი. მაგრამ უკრაინაში რომ არ ვყოფილვარ?! უკრაინელმა მუშამ როგორ მიუტანო ეს ჩემი სიტყვები არს სტალინს?! მადლობა დიგროს, რომ ვგარი და სახელი არ დაუსახილებიათ, თორემ მომეკრებოდა თავი სირჯვლისადა! — გულში გაიფეთა აქცენტის და კითხვა განაგრძო:

„...როცა სამუშაოდან ხშირ ასეთ მოლოებებს და გზანთ რაც შეიძლება შორს ოპერატიული მუშაობიდან ისინი ხელმძღვანელები და გაკვირვებულნი კითხულობენ: „რატომ გეხსნით ჩვენ? განა ჩვენ და მცირედით კონფერენციასე არ წამოვადგინეთ პარტიისა და მთავრობის ლოზუნგები? განა ჩვენ არ აიბრჩიეთ სამატო პრეზიდენტის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მთელი შეკრებულთა? (საერთო სიცილი). განა არ ვაფუგზავნეთ მიხალმება ამს. სტალინს? რაღა უნდათ კიდევ ჩვენგან? (საერთო ხარხარი)...“

— საკვირველია, ახელთა დიდმა ყრილობამ როგორ მომეჩიოა მე ამოდენა ყურადღება! — ვაიფიქრა აქცენტის მაგრამ კითხვა მაინც განაგრძო:

„რა უნდა ვეფეთ ამ გაუხსრებელ მოლაყბებს? თუ მათ დავტოვებთ ოპერატიული სამუშაოზე, მათ შეუძლიათ ყოველი ცოცხალი საქმე ჩაახშონ წყალწყადა და გაუთავებელი ხიტყვების ნიაღვარში. ამაკარა, რომ საპიროს მათი მოხსნა ხელმძღვანელი პოხტიდან და გადაყვანა სხვა არაოპერატიული სამუშაოზე, მოლაყბებს არ უნდა ექნეთ ადგილი ოპერატიული სამუშაოზე“ (ხმები: „სწორია“... ტაში).

— ექვს! გათავებული ყოფილა ჩემს საქმე რილასობის დავკარგო ორო პარტი ყრილობის მოშობის შესასწავლოდ? — ვაიფიქრა აქცენტის. ერთი მაგრაღ ამოიხსრა და წიგნი დასტურა.

# „პარკ მთქველს პარკი გამგონე უნდა“



საღამოობით ჩვენ დაწესებულებაში სამუშაოდ მღვანელ ამხანაგებებსვერ ნახავთ“  
(ამხ. ლ. ბერიას მოხსენებიდან)

ჩ. ნახ. მოკიაშვილის



1) ამ ღიად კაცმა ეს სიტყვერა აი, ამრიგად გაიგო: საჯაროებში დინჯად დაჯდამა, ჩიბუხნი ხელში აიღო.



2) „პატიოსანი მოლაყბე“ საკითხს ამრიგად მიუღდა: ფეხი ფეხზე გადაიღო და წიგნის კითხვას შეუღდა.



3) „უპატიოსნო მოლაყბის“ თავში ასე „დამუშავდა“: შემოიკრიბა ქალები და მათ შორის „ამუშავდა“.

## დაკა-დაკა

მგელი წესწყობილებისა და ზნე-ჩვეულებების მიმდევარ ცრუმორწმუნე ხალხს არ უყვარს თებერვალი. ამ თვეში მოხდა ბევრი ისეთი შემთხვევა, რომელმაც უკუღმა გადაატრი-ალა ეს წესწყობილება, ზნე-ჩვეუ-ლება და მთლად გააცრუა მათი ღრმა რწმენა.

მაგალითად: თებერვალში მოხდა ბატონყმობის უღლიდან გლეხკაცო-ბის განთავისუფლება; თებერვალში დაემხო მეფის თვითმპყრობელობა და მასთან ერთად სასულიერო წოდების ბატონობა; ბოლოს აგრეთვე თებერვალში აეგო წესი საქართველოში მენშევიკურ ყალბაბანდობა-საც—ერთი სიტყვით, თებერვალმა დაანახვა ნათლად ყველას, რომ არ არსებობს მამნღმერთის მიერ ერთ-ბიროვნულად ქვეყნის მართველობა, ორი თანამემწის—ძე და სულიწმინ-დის დახმარებით!

ამიტომ იყო, რომ 1934 წლის თე-ბერვლის ვასვლას გულის ფანცქა-ლით ელოდა ძვილი წესწყობილების და ზნე-ჩვეულებების მიმდევარი ხალ-ხი, მარა იმ რწმენით კი არა, რომ იმაზე უარესი რამ გადახდებოდათ მათ თავს, რაც უკვე გადახდათ, არა

მედ იმ იმედით, რომ იქნებ წალმა მოტრიალეზულიყო ისევ მათი ბედი. მაგრამ, როგორც ყოველთვის ამ უკანასკნელ ხანებში, ისე ეხლაც უმ-ტყუნათ ბედმა!

თუმცა თებერვლის თვემ მშვიდო-ბიანათ ჩაიარა, მარა მის უკანასკ-ნელ ღღეს ჯერ კიდევ არ დაეკრა ახალი წესით შემოღებულ მეოცდა-ოთხე საათს, როდესაც ელვის სისწ-რაფით გავრცელდა ხმა, რომ გადა-წყდა საკითხი ყოფილ ერევნის, ახ-ლა თავისუფლების და მომავალში ამიერ-კავკასიის ფედერაციის სახე-ლობის მოედანზე დახრონგილ თა-მამშევის ყოფილ ქარვასლის აღების და მის ადგილას ფართე მოედნის გაშლის შესახებო.


ამ ქარვასლის „მებატრონეთაგანი“ აღორავინ დარჩენილა ცოცხალი,— მისი ჩამორთმევის შემდეგ ყველა მათგანს გულის ტკივილი დასჩეუ-დათ და დიდხანს ვეღარ გაუძღეს ამ სატკივარს!—მარა ბევრი სხვა გა-რეშე აღმოჩნდა, რომელსაც თავ-ზარი დასცა ამ ამბავმა. ასეთები იყ-ნენ ისინი, ვისაც ამ ქარვასლაში ერთ დროს სავაჭროები ჰქონდათ. მართალია კერძო ვაჭრობის მოსაო-

ბის შემდეგ მათი სავაჭროებიც დაი-კეტა, მარა ისინი ამ ქარვასლის გარ-შემო და მის ზნელ კუნჭულებში მაინც ითბობდნენ ხელებს შავ ბიოყა-ზე სპეკულაციით.

სანამ ისინი ქარვასლას თავის ად-გილას ხედავდნენ, ცოტა იმედის ნა-პერწყალი მაინც ჰქონდათ გულში იმის შესახებ, რომ ეგებ ძველი დრო-კიდევ დაბრუნებოდათ, მარა ქარვას-ლის დანგრევის ამბავმა ეს ნაპერწყ-კალიც გაუჭრო მათ.

პირველ მარტს დილით საინტერე-სო სანახაობას წარმოადგენდა ყოფი-ლი ერევნის, ეხლა თავისუფლების და მომავალში ამიერ-კავკასიის ფე-დერაციის სახელობის მოედანი. თი-სთვის უახლოესი და უძვირფასესი ნათესავი გარდაცვლილდეთო, ისეთი მგლოვიარე გამომეტყველებით შე-გროვილიყვენ ქარვასლის გარშემო მის სანახაუდ და უკანასკნელად გა-მოსამშვიდობებლად მოსული ყოფი-ლი ადამიანები, — ვაჭარ-სპეკული-ანტები.

მათ შორის იმყოფებოდნენ: დაშ-ნაკი კარაბეზა, მენშევიკი კოწია და მუსაგარელი ალია. (მათ გვარებს არ დავასახელებ, რადგან მეშეშება, ამ



„თითქოს უახლოესი და უძვირფასესი ნათესავი გარდაეცვალათო, ისეთი მგლოვიარე სახით შეგროვილიყვენ ქარვასლის გარშემო ყოფილი ადამიანები“

პარტიების წევრობის გარდა — სხვა რამ ცოდვებიც ექნებათ და არ მსურს, რომ მილიციამ, ან „გეპუემ“ შეაწუხოს ისინი და ამითი მთლად მოისპოს ამ პარტიების უკანასკნელი ნაშთი ჩვენში!).

ყოფილ ადამიანების მითქმა-მოთქმას ყოფილი პარტიების წევრებიც აწყვენ. მათ შორის ჩამოვარდა კამათი იმის შესახებ, თუ როგორ სჩაგრავენ ქართველები ეროვნებათა უმცირესობას, — ამ შემთხვევაში კი სომხებს, ვინაიდან ეს ქარვასლა სომეხს ეკუთვნოდა. კარაპეტას საყვედურს ალიამაც ბანი დააწია და განმოსთქვა უკმაყოფილება იმის გამო, რომ თათრის მოედანსაც ასეთი ბედი მოელოდა.

კოწიამ კი, პირიქით, საყვედური განაცხადა იმაზე, რომ ყოფილ თადად-აზნაურობის კლუბის შენობას

წინა კედლის ჩამოთლას უპირებენ და ამაში სომხები და თათრებია და მნაშავე, ვინაიდან იმათგან აიგოს ქალაქი და ქუჩაზე გასაქანი აღარ არის, რამაც გამოიწვია ამ ქუჩის გაფართოების აუცილებლობა.

კამათმა, როგორც წესია ეროვნული უფლით გაქვინთილ შოინის-ტურ პარტიების წარმომადგენელთა შორის, მკაცრი ხასიათი მიიღო. საქმე იმდენათ გამწვავდა, რომ მოკავითეებმა ერთმანეთს მუშტები წაუშინეს თავ-პირში და შეიქნა ერთი და-კა-დაკა, რამაც გამოიწვია მოედანზე მყოფ ყოფილ ადამიანთა შორის დიდი ჩოჩქოლი.

აუცილებელი შეიქნა საქმეში მილიციის და „გეპუეს“ წარმომადგენელთა ჩარევა, რომლებმაც სამთავე მოჩხუბართ სტაკეს ხელი და დასამშვიდებლად უკრეს თავი გამასწორებელ სახლში.

გამოძიების დროს ჩემი ეჭვები გამართლდა: ყოფილ პარტიების ამ წარმომადგენლებს, პარტიული მუშაობის უნიადაგობის გამო, სხვან რამ საქმეებისთვის მოეკიდათ ხელი, — როგორც არის კოლმეურნეთა ბაზარზე სპეკულიაცია, გამფლანგველობა და მავნებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ფელეტონში მე არ მიხსენებია მათი გვარები, — „გეპუემ“ და პროკურორმა მაინც გამოააშკარავეს ისინი და შესაფერი მსჯავრიც დასდევს.

ამნაირად გადააყოლეს თავი ყოფილ თამამშვევის ქარვასლას ყოფილი მენშევიკური, დაშნაკური და მუსავატური პარტიების უკანასკნელმა წევრებმა — კოწიამ, კარაპეტამ და ალიამ!...



— დისციპლინა, დისციპლინა და კიდევ დისციპლინა! — ერთი კომედიის გამირივით იმეორებდა სეფე სეფერთელაშვილი. — ყველამ თავის საქმე უნდა იცოდეს. ყველამ თავის საქმე უნდა გააკეთოს. ვინც სხვის ფუნქციებში ჩაერევა, ის ინტრიგანი და საქმის ამრევია და კიდევ უნდა დაისაჯოს. — „მსჯელობდა“ ის.

— თუ გინდა რომ ყველაფერი გიტარასავით იყოს აწყობილი, დაცავით ეს ჩემი პრინციპი და მყუდრო სა მშვიდობიანი თანამშრომლობა უზრუნველყოფილია. — არიგებდა რიხილ სეფე უფროს ქალიშვილს: რაც შენ არ გეხება ნუ ერეები ისეთ საქმეში დაიხსომე შეილო ძველი ქართული ანდაზა:

შენი სვი და შენი ჭამე, ჩიშხას ჯვარი დამიწერე

— იცი ვა რა ანდაზაა? ამისთანა ბიზიათია ქართულ ხალხურ მეტყველებაში. აი კიდევ ჩიჩინ ძველებს რა უთქვამთ:

არა მკითხე მოამბეო, მიბერტყე და მიაგდეო.

ამ სიტყვებში დიდი და ღრმა აზრია ჩაქსოვილი. ეს ანდაზაც იმას გვასწავლის. რომ ყველამ მხოლოდ თავის მოვალეობა უნდა იცოდეს.

სეფე განსაკუთრებით ოჯახში ცდილობდა, რომ მისი ფუნქციონალისტური მიზნები გაენხორციელებია, მაგრამ მისი ქალიშვილი — კომკავშირელი თინა თავიდანვე ოპოზიციის რიგში ჩაუდგა.

— რა შეადგენს მამილო ჩენი ძალის — ყურშას ფუნქციას?

— ქურდის მოსვლა უნდა გვაცნობოს.

— ვთქვით მამე ადრე ჩვენ გავიგეთ! — ხმა უნდა ჩაევიძინდოთ?!

— მაგ შემთხვევაში შეიძლება ყურშას ფუნქციებში ჩავერიოთ, — გამონაკლისის სახით.

— რა შეადგენს ჩენი ფისოს ფუნქციას?

— თავი უნდა დაიჭიროს.

— ვთქვით ის თავი, რომელიც ფისომ უნდა დაიჭიროს ქილაში ჩავარდა და ველარ ამოდის... ფისო კი არსად ჩანს; არ უნდა დაგიჭიროთ?

— ეგ წვრილმანია...

— ვთქვით ცეცხლი გაჩნდა. ცეცხლის მქრობელი რაზმი იგვიანებს. არ უნდა ჩაეაქროთ? ესეც წვრილმანია?

სეფე დაიბნა. მაგრამ „პრინციპს“ ვერ დალატობს თინა გარედ გავი-

გახუნებულ სტუდენტ კიკოს ნუცა უყვარს მეტის - მეტად, და რომ თავი მოაწონოს, ცოტა ფულიც გაიმეტა. გადასწყვიტა, ვიდრე ფული მაგიდაში უქმად ეწყოს, უკეთესი არ იქნება თვითონ კონტად გამოეწყოს?



— ჯერ საუვედური გამოშიცხადეს. შემდეგ დირექტორობიდან გადაწყვეტეს და საქმე პროკურატურას გადასცეს... მერმე პარტმანდატსაც გამოვეთხოვი. ამას ყველაფერს შევურიგდები და ადვილად გადავიტან, მაგრამ როგორ შევურიგდე და როგორ გადავიტანო ის გარემოება რომ ყველა ამის შემდეგ სონა მიმეტოვებს!

და. სეფეს ცოლიც რაღაც საქმეზე მეზობლისას წავიდა და სეფე მარტო დარჩა. უცებ ოთახის სარკმელი გაიღო და „კერასინკამ“ ბოლო ამოუშვა.

— „კერასინკის“ ხელის ხლება როგორ შეიძლება. ეს ჩემი ცოლის ფუნქციას შეადგენს, იფიქრა სეფემ, გულადმა წამოწვა დივანზე და გაზეთის კითხვა დაიწყო, მაგრამ მაშინვე ჩაეძინა. ოთახი ბოლით გაიღო. როცა გაიღვიძა ნახა, რომ თინას ჰაერი გაეწმინდა, მაგრამ სეფეს ტანსაცმელი და ხელები ისევ გამურული ქონდა. სეფემ სარკეში ჩაიხედა და სირცხვილის ურუნტელ მა დაუარა: გამურულ შუბლზე თინას ნაკვალევი წაიკითხა: „ფუნქციონალობის ბრალია“.

მედაუზა.

მუშკოპისკენ გაეშურა მოიხრევა ჭრელი კები, ხელთათმანი, ფეხსაცმელი ახალ მოდის — „ზაბინკები“. ერთი სიტყვით, ყველაფერი თავმოწონე ვაფს რაც უნდა. გაიფხიკა ჯიბე იხე, რომ არ დარჩა გროში ნურცა.

ყველაფერი ახალი აქვს — თვალსაჩინო და წარმატება უნარია; გულში ფიქრობს: „ახლა კი ვარ სწორედ კაცი“. თმები კონტად დადივარცხნა, გაკონტავდა, გაიპარსა, მაგრამ მერე რაც შეემთხვა არ მომზდარა მგონი არსად.

ფეხსაცმელი გადმოიღო და დაეცა თავზე მენია; ახ, ნუ იტყვიან ორთავენი გამოადგა ერთი ფენის! და ის იყო დაიხარა ფეხსაცმელის გასახდელად, რომ შეემთხვა კიდევ მარცხა... გადაუსკდა ზურგი ხელად.

გაიხადა და კვლავ მიდის მუშკოპის გამგებთანა.


— „რა მომიქვით?! ვის დახცინით? რა ყოფილიხართ ამისთანა“? დიდი ჩხუბით და ვაგლანით გადასცვალა როგორც იყო, და ჩაცმული ნუცასაკენ გაეშურა ჩენი კიკო.

მივიდა და გული უცემს, აზრები მთლად დაეფანტა. ნუცა შეხვდა ღიმილითა გაუწოდა ხელი ზანტად. ამისთანა გასაჭირი არ მოხვლია თავის დღეში ხელთათმანებს კიკო იხდის... და... თითები შერჩა ხელში.

ნუცა კვდება ცილითა, კიკო ბრაზით სკდება გულზე, ა ამის შემდეგ როგორ ეზახოს სიყვარულზე?! გუნება მთლად შეეცვალა, აუფარდა სისხლი თავში, და უსიტყვოდ წამოვიდა ჩენი კიკო თავის სახლში.

კიკო, ვფიცავ არ ყოფილა ნუცასაგან დასაწუნი, მაგრამ რა ქნას. რომ სუყველგან მას მიუძღეს მხოლოდ წუნი, და ფიქრობდა: „მართალს წერენ: „მხართემოზე კმარა წოლა, წარმოების ახაწვად ხარისხისთვის გვინდა ბრძოლა“.

მარიულოა



# ფასების „დაკლება“

„ფასები ყოველგვარ საქონელზე დაკლებულია ათი პროცენტით“ — დიდრონი ასობით იყო გამოცხადებული სავაჭროს კარებზე.

— შევიდეთ, ვიყიდოთ რამე, — მითხრა ცოლმა.

— მოიცა ქალო, ნუ ხარ სულწასული, ნუ გეშინია, რახან დაიწყეს დაკლება, აწი სულ დაკლებას ხწარმოებენ, — ვუთხარი მე და როგორც იყო ავიცილე თავიდან სავაჭროში შესვლა.

„ფასები დაკლებულია ოცდახუთშეტი პროცენტით“ — სწორედ იმავე ადგილას ეწერა იმავე სავაჭროში.

— არიქა უშველოთ! — იყვირა ცოლმა და კინაღამ შემავლო სავაჭროში. მაგრამ როგორც იქნა კარებთან შევიკავე თავი.

— რა გეჩქარება, ხომ გამართლდა ჩემი სიტყვა — უთხარი მე — ფასების დაკლება კიდევ ჩატარდება, მოიცა ცოტა

„ფასები დაკლებულია 45 პროცენტით“ — რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ ამშვენებდა სავაჭროს კარებს ხალი წარწერა. ამის დამნაშავე ჩემმა ცოლმა მხოლოდ შემომხედა, მისი გამომეტყველება მეუბნებოდა „ბარემ შევიდეთ რაღა, ვიყიდოთ“, მაგრამ მე ხელი ჩავაქნიე და ვუთხარი:

— ცოტა კიდევ მოიცა — ცოლიც დანეთანხმა.

„ფასები დაკლებულია კიდევ 15 პროცენტით“ — ახლა კი დავფიქრდი. ამოვიღე ფანქარი, ქალაღი და დაფიქრებულ მათემატიკას მივმართე: 10 პროც.—35 პროც.—45 პროც.—15 იქნება 105 პროც. რამოდენიმეჯერ შევამოწმე და მართალი გამოდგა. შემდეგ მათემატიკის მასწავლებელსაც შევამოწმებინე და იმანაც დაჰიდასტურა. დავმშვიდდი. სული ამოვითქვი ღონიერად და ცოლს ჩავავლე მკლავში ხელი.

— აბა ახლა შევიდეთ იმ შენს სავაჭროში, ამოარჩიე რამდენიც გინდოდა, — ვუთხარი მე და სავაჭროსაკენ წავიყვანე. ქალი კინაღამ გადამეხვია სიხარულით.

— სწორედ კარგ დროს მომისწრო ამ ფასდაკლებამ — ვამბობდი გულში — ეხლა საქონელსაც მომცემენ და 5% მომიწევს ნაღდ ფულად.

— რა ღირს ეგ შალის საკაბე? — ეკითხება ჩემი ცოლი.

# ვით შავი ზღვის გედი ცურავს სამკუთხედი

(№ 1 ოქტომის ტრადიკული ამბავი)

განაცხადა ჟღერტმა, მოწამე ვარ ამის: — ასე ცხრა საათი იქნებოდა დამის — ერთი ქალი ვნახე (სულსა ვფიცავ მამის) თავის ბინის კართან მოთამაშე დრამის.

ალბა ვარ კაცი, შენდღე მე იმ წამის! სამკუთხედი, მიხარე, თორემ მოვკვდე ლამის. გაარჩიე სწრაფად საქმე, ლამაზ დამის! ქმრისა მოლაღატის, ქალის სითამამის.

დაჯდა სამკუთხედი, შადა არ აქვს ჭამის, ცანცახებდა ისე, ვით ფოთოლი ჩამის.

— მეტრი სამოცი მანეთი!

— რამდენი მიწევს მეტრიდან? — შეიგვიტოხე მე.

— სამოცი მანეთი! — მომიგო ნოქარმა.

— არა, ამხანაგო, შენ ვერ გამოიგე — ვუთხარი მე. მე რამდენი მიკუთვნის პროცენტი.

— თქვენ რა პროცენტები გეკუთვინით?! — გაიკვირვა მან.

— აი დაკლების. პირველად 10 პროცენტი დაუკელით, შემდეგ 35 პროც., კიდევ 45 პროც. შემდეგ 15 სულ კი 105 პროც. გამოდის ასე რომ ეს საქონელიც უნდა წავილა და ხუთი პროცენტიც უნდა მომცეთ ღირებულების. — ავუსხენი მე.

ნოქარმა ერთხანს მიცქირა ისე, როგორც უცქერიან ადამიანს, რომლის შესახებაც უნდათ გაიგონ — გიყია თუ სულელი და ბოლოს გადაიხარხარა.

— თქვენ იუმორისტი ყოფილხართ! — მითხრა მან. ძალიან მიყვარს იუმორისტები. ლიტერატურას ვკითხულობ და „ნიანგც“ მაქვს გამოწერილი. კარგი იუმორისტი ყოფილხართ. — მითხრა მან და სხვა მუშაობს მიუბრუნდა.

— რის მომასწავებელი იყო აბა

ხადგ. ჩაქვის სამკუთხედი ტრადიკული სპორტის საწარმოო სამკუთხედს განხილვის ნაცვლად წავეს — სხვა მებზე ნშირად ისეთ საკითხებს „არჩევს“, რომლებიც მას არ შეეხება.

კვაჭაძე დგას ვანზე, ფერი ადევს ზამის, ხაუალია მორცხვად მფრქვევი ცრემლთა ნამის დაიბარეს ქმარიც. მქონე ბოლმა — შხამის. და მსჯელობის შემდეგ საათისა სამ დაიწერა ოქმი იმისა და ამის! საყვედური მიემურვის და გაგდება დამის

სამკუთხედი, მგონი, ხარ შენ სულ სხვა ჯამის! ყოჩაღ, კი გცოდნია, გამოყვანა ჯამის. ნუ თუ საქმე მეტი, არ გაქვს ერთი წამის. სადაც ზიხარ, არ ხარ ღირსი შენ იმ სკამის...

გაზნეფლი გზიკი

ეს „ფასდაკლება“ — შევეკითხე ცოტა გულმოკლულად.

— ის ამ საქონელს არ შეეხებოდა, ის დარჩენილ კბილის საწმენდ ფხვნილებზე იყო, რომელიც არავინ წაილა და შემდეგ გადასაყრელად მართლა 5 პროც. გადავიხადეთ. — მიპასუხა მან ღიმილით.

— მაშ იუმორისტი მე კი არა თქვენ ყოფილხართ. — ვუთხარი მე და დარცხვენილი შინისკენ გაუდვიქი. **3. ოგოლი.**

## წერილი კაკოს (ჭუთაისი)

ჩემო აკაკო, ხომ გახსოვს „ბრივადის“ გამგებობის თანხაგდამარედ არჩევს დროს მე ორივე ხელეში აფიწიე თანხის ათი თითო.

მსუბუქი კვადერია დამცხა თანხე და „პროტოკოლი“ შემოღებინეს, ზოტომ ყოლი 7 მანეთიან რეზინებს 15 მანეთად და ათ მათერიან შპილკებს — თითო მანეთად

იცოდე უნდა ჩაჩუმი, თვარა ხომ იცი, ნაჭად ფულაბს ისევე შენ გაქმივ და ვაი შენს დღეს თუ მოგბრუნე კახი.

თუ ეს საქმე არ მოგვარე, იცოდე იმავე ვიტყვი, რომ საწყობში 3390 მანეთის საქონელი გაკლია და დღემდე საიდუმლოდ ინახავ.

შენი ერთგული კომპარჯიზმელი.



— აქ მთავარია მასობრივი მუშაობის გაშლა! — ესმოდა მონაგარში აბიკოს, რომელსაც ამრეზილად უყურებდნენ, როგორც ყოფილ მოიჯარადრეს.

„მასებში მუშაობა“? მესმის, მესმის! სადმე მოინახავ მაგ მასებსაც და გავწლი პროპაგანდას... თუ კი შემიტყობენ გადავრჩები, ეგ რა დიდი საქმეა!

აბიკომ რამოდენიმე გაზეთი ამოაჩრია და ბაზრისკენ გასწია ადგილყომის მდივნის ვალიკოს კვალდაცვალ.

— ახლავე გავწლი პროპაგანდას, თქვენი თვალის წინ! — ამბობდა იგი და პროტესტურად უმაკებდას მიდიოდა.

ნახევარი თვის ხელფასი 150 მანეთი სამად გაყო და ჯიბეში ჩაიწყო. ჩუმად ამოუდგა ვალიკოს, რომელიც რაღაცას ყიდულობდა და ვაჭრობას შეუდგა.

— ნდაა! სიმპატიური ინდაურია, მაგრამ ძვირია! — ამბობს აბიკო და ინდაურს სინჯავს.

— შე დიდივალისო, სამი ფუთი სიმინდი შეიძლება!

— სამი ფუთი? სად იყო ამდენი სიმინდი! კოლმეურნე ხარ? რა მოგიწია შრომა-ღირსე?

— 30 გირვანქა.

— მაშ შეძლებული გამხდარხარ?

— ჯერ არა, მაგრამ...

ნუ გეშინია, მალე გაშეძლებულდები! აი უყურე, (აბიკო ვალიკოსა ცენ იხიობ) ჯიბიდან გაზეთს იღებს და კითხულობს: „კოლმეურნეები მიდიან შეძლებულ ცხოვრებისაკენ, მათი წინსვლა“...

აბიკო გაიტაცა კითხვამ და როცა სტატია გაათავა, მხოლოდ მაშინ შეამჩნია, რომ ვალიკო შორს ჩანდა, ხოლო ინდაურის პატრონი წასულიყო.

აბიკომ ამოიხარა და გასწია იქითა წენ, სადაც ვალიკოს ქრელი კეპი მოჩანდა. იგი მივიდა გოჭებამდე.

— როგორ სწრაფად განვითარებული ჩვენი მეგობრობა? — ჩაილაპარაკა აბიკომ და ერთ მოზრდილ გოჭს მიადგა.

— რა ღირს გოჭი? რა სასიამოვნო ხმა აქვს! საკოლმეურნეო იქნება! ნებსია თუ მამალი?

— დიას, ნებსი გახლავს, აშკარად დედალი გოჭია! — ჩაიციხა გამყიდველმა.

— მერე და დედალ გოჭს ყიდი? ამის მეტი შეგნება არა გაქვს? ჰმ! აი სად არის საჭირო განმარტებითი გამპანია, — მიუბრუნდა იგი ვალიკოს და ისევ გამყიდველს მიმართა:

— იცი, რა მნიშვნელობა აქვს გოჭს, ისიც დედალს? მაგას შეუძლია წელიწადში 24 გოჭი მოგვცეს. თითოჯერ თორმეტი! ცამეტი არ ვარგა, შენ ალბად გავიგა მეცამეტე გოჭის ამბავი... ეს არის ნამდვილი ქარხანა... აი უყურე!

აბიკომ ახლა მარცხენა ჯიბიდან ამოიღო გაზეთი და კითხვას შეუდგა. ამასობაში გამყიდველმა გაყიდა გოჭი და დაცალა ადგლი.

— აი ასეთია დირექტივა. — მოუბრუნდა აბიკო, მაგრამ მოსაუბრე ვეღარ დაინახა. დაიკარგა ვალიკოს კეპაკაც.

— ჩამორჩენილი ელემენტი ყოფილა... ის მიდივანი სადღა გაქრა? — თქვა მან და გაზეთი ახლა უკვე მესამე ხუთ-თუმნიანთან ჩაიღო.

— რა ღირს ცხვარი? დოლის კამპანია გავლილი აქვს? საკოლმეურნეოა?

გამოირკვა, რომ ცხვარი ბერწიხ. შემთხვევით ვალიკომაც ჩაიარა. აბიკო გამხნედა და გამყიდველს მიუბრუნდა.

— როგორ დაუშვი ცხვარის დაბერწება? არ შეაფასე დოლის კამპანია? აი უყურე:

ჯიბიდან გაზეთი ამოიღო და შეუდგა კითხვას მეცხვარეობის შესახებ. ამასობაში ცხვარი, თუმცა ბერწი, მაინც ვაიყიდა. აბიკომ რომ კითხვა გაათავა, მეცხვარე შორს იქნებოდა, ხოლო ვალიკო კვერცხის საყიდლად გადასულიყო.

აბიკო კვლავ აღმოცნობდა, რომელიც დაიმშვიდა გული და ისიც შეეცადა ხეს მიადგა...

— რა ღირს კვერცხი?

— ხუთმეტი შაური!

— რა ამბავია? შენ ალბად გიდადამყიდველი ხარ!

— რის ვადამყიდველი, ჩემი ქათამები მყავს...

— ხუთმეტი შაური ქათმის კვერცხი? ეს რომ მართლა ვადამყიდველობაა! არ მირჩევნია უშუალოდ ქათმს მოველაპარაკო? რაღა შუარგოლი გავიჩინო? კი, კი! — თქვა აბიკომ და გამობრუნდა. ბლოკნოტს აღარ ამოუღია.

— ისევ ხორცი ვიყიდი! რა სჯობს საკოლმეურნეო ხორცს! ამოწონეთ ერთი კილო ჩალადაჯი, შეახვიეთ, აიღეთ ფული!

მარჯვენა ჯიბეში ჩაიყო ხელი.

— ბიჭოს!

ფული არ აღმოჩნდა.


მარცხენაში ნახა; არც იქ არის.

შარვლის ჯიბეში — არავითარს ჭაჭანება.

— ჩემის რწმენით ვინმე ამოგარბთმევდა, ან შეიძლება აქ ჯიბგირების ხელიც ერიოს! — ღრმა აზროვნად თქვა მორიგე მილიციელმა და ეს იდეა ბევრს ეჭაშნიკა.

— ომერთმა თქვენც დაგწყველოდ და თქვენი განმარტებითი კამპანიაც ახია ჩემზე! — ჩაილულულა აბიკომ და მემწვანილეს მიუბრუნდა.

— ექვსი შაურის ბოლოკი ამიწოხეთ!... ალლარ-ალლარსანა!



ქუთაისის საკულტო კოლონიალის და სასაქონის პროფკავშირის კლუბის ყოველდღიური მუშაობა.

1.


საბჭოთა მფრინავებმა ქვეყანა გაანცვიფრეს. შემონატრიან ჩვენი გამარჯვებების ციფრებს. ამ გმირთა შორის არ ჩანს — ქიშვარდი ჩვენი გმირი. თავი ვაუკაცად მოაქვს, აწუთული აქვს ცხვირი. ამბობს: — მე სხვისი სიტყვა არ მწამს, არა მჯერა. თავისი თვლით უნდა ვნახო მე სტრატოსფერა.

გარბიან: ხე, მდინარე, სახლები, მინდორ - ველი. (ვაღიარია ვაცი, საცვლები ვახდა სველი). ო, მადლობა ღმერთს? აგერ გაჩერდა ორთქლმავალი. ვადმოხტა ვაგონიდან ფერწასული და მშრალი. მიწა რომ იგრძნო ფეჭვემ, მას ვაუბრწყინდა თვალის. — არ არის ჩვენი საქმე რკინის გზა, ორთქლმავალი!

ვაქროლდა ავტო, თითქოს მას გამოება ფრთები. მიხვეულ - მიხვეული გადაიარა მთები. მუცელში ყოუდ ვაისმა რალაც გუგუნე - გვრემა. თავზე თმა ნემსად ექცა, ვულმა დაუწყო ცემა. სწორედ მის ბედზე ამდრის ავტოს წაუხდა შინა. ქიშვარდი სწრაფ ვადმოხტა, აქ მაქვსო ახლოს ბინა. ფეხით ვაუღდა გზას და, ფიქრობდა დეი ასე: — არ არის ჩვენი საქმე ავტოთ ვიმგავროთ გზაზე!

ო, აქაც ლეწის მადლობა! დადგა მშვიერი ცხენი, და გზას ვაუღო ფეხით ქიშვარდი ვამოღო ჩვენი. ფიქრობდა: — შორით მოველ ვაი - ვავლახით აქ მე. არ არის ეტლი, არა, მგზავრებო, ჩვენი საქმე!

ზა დიქნცა გზაში, დიქილაჟა ცხენი. პირველარი ვადიწერა




ჰაეროდრომზე მიდის, რათა ვაფრინდეს მალო. როს ჩაჯდა თვითმფრინავში, იჯონო დაქანაია - დალო. დრილეხს პრობლეერი. ატვივდა ჩვენს გმირს კუჭი, და აშოლო კუჭთან ვახდა მისა, გმირობა ფუჭი. უქანვე ვადმოვიდა, ენის დაეღდა ლუქი და შოტორივით მის გულს ვაპქონდა ბავი - ბუგი. როცა მოვიდა ვონზე, მას ამოება ენა: — არ არის ჩვენი საქმე მალოა ჰაერში ფრენა!



ხაჯდა შიგ არხინად დაიძრა ავტო უცბად, და მას საჯლოში თიის სხვის აუხლზე ვადაუტდა.

წამოეწია ეტლი, ვაბრწყინდა, როგორც ვარლი. მეეტლეს მოუტოვდა და ჩაჯდა შიგ ქიშვარდი.




მეეტლე იყო მთვრალი, ერეკებოდა ვანებს. ქიშვარდი ვაიფიქრა: — ეს შავდეს დაბაყენებს!



და შეჯდა გმირი ჩვენი რომ ვაიარა ცო რა, ესტომა ვაქრო შავი: — რომ დავეთოს ცხენმა ხომ ვამიტუნა თავი?! ძნელია ცხენზე ჯლომა, დიღანს ვერ შევირევეთ. არ არის ჩვენი საქმე მგზავრობა ცხენით, ზევით!

ზაღ მარ ვაღმინებს ყინვის ჩვენს მუხლავართა შორის გმირობა არის სზირი. მაგრამ ვათ რიცხვში არ ჩანს ქიშვარდი ჩვენი გმირი. ჩრდილოეთ პოლარუსზე მან წასვლა ვანიზრაბა, ჩავიდა იგი ფოთში (ზღვა მას ჯერ არ ენახა).




შალოსტომის ტბისა მოშორდა ის საბარებს. მაგრამ, ჩანს, აქაც კუჭი რალაცას მას უპირებს. თავბრუ დაესხა ნაგში და აერია ვული. ნაბირზე ვამოავდეს ვონებადაკარგული. როცა მოკიდა ვანზე, სიბრძნის თქმა მოესტრევა: — არ არის ჩვენი საქმე ოქეანეში ცურვა!



მიქრის და წკნს ქიშვარდის აუტრიალდა თვალი.

ნაადრევი სიხარული



ორბელიანის ქუჩაზე იღდა ერთი ყუთი. ყუთში იჯდა ერთი კაცი, წონით ექვსი ფუთი! პირველად ეს როცა ენახე—ძლიერ გამიკვირდა: სანახაობად სურათი სწორედაც რომ ღირდა!

ვიფიქრე: ვამოჩენილა კიდევ დიოგენი, პირველად ფილოსოფოსი, სჩანს, მე მივთავი! არაფერს არ შეგვიტხოვდი განა არა სჯობდა? „დიოგენი“ თურმე რალაც სარდაფს სდარაჯობდა!

იქვე ახლოს შევამჩნიე „ტოროგ სინის“ სარდაფი, თუმც არ ჰქონდა ზედ წარწერით მას რაიმე დაფა, შიგ მარდად დაფუსფუსობდა ბრიგადა თავგების, საძიებლად ვემრიელი რაიმე საკვების!

უნებურათ ვამეცინა მე ყველა ამაზე, თუმც არ უნდა მოვსულიყავ ასეთ გუნებაზე. „დიოგენმა“ ეს სიცილი სულ სხვაფერ ვაიგო: ყუთის ნაცვლად უქეთისი სადგური აიგო!

სარდაფში კი თავუნები ფარდაშს ვანაგრძობენ, მუშგლეჩინის ვაუქმებით დიდ სიამეს ვრძნობენ. მაგრამ ნაადრევი არის ეს მხიარულება: სხვას მიენდო მუშგლეჩინის როლის ასრულება...

რა დაეწია ურემს, სახე მას ვაუბ კყინდა: — კაპოტორტი ამას ჰქვია, მაკარებელი, ვემო მიწასთან ვასწორა ასე ეტლი და ცხენი. მეურმემ ამ ზაასში ვერ შევამჩნია კლდენი.




მოედვა ლოდს უორემი და კლდეში ვადაბრუნდა. ამდენი ქება ურმის ქიშვარდის ვაუხუნდა. როცა წამოდგა ზეზე ზურგით ქვეს დაბაცემი, მაინც თქვა: — ჩვენი საქმე არ არის არც ურემი.

ვაუღდა გზას და აგრე.... წამოპკრა მან ქვეს ფეხი. ისე დაეშხო ვი, თითქოს დაეცა მუხი.



— არ არის ჩვენი საქმე... სჯობია სახლში ჯლომა! ვაი - ვავლახით ძლიერს-და შეძლო მან წამოღგომა...





გულა ილურიძემ კოლმეურნეო ბისათვის გამოტანილი ფართალი ყერძობეზე გადაყიდა, აღებული ფულით ორიოდე ლიტრა ღვინო გადაჰკრა და 26 კომ. სახ. ბალისკენ შეტყვიდა.

— ყველაფრისაგან ხეირი ვნახე, მაგრამ ამ დუქნისაგან ვერაფერი ვისარებულე. — საკოლმეურნეო დუქანია. მოგება არ შეიძლებაო, მაშ მოლა-მასრადინა ხომ არა ვარ, რომ ისე ტყუილად ვივაჭრო. რახან ასეა, მაშ ალარ ვიყო სამთავისის არტელის თავმჯდომარე — გულა ილურიძე, თუ ის დუქანი არ მივკეტო — ბურტყუნებდა გაღეშილი თავმჯდომარე მოულოდნელად ზაპკისის ბოძს დაეჯახა, ორივე ხელებით ზედ შემოხეხია, მხარით მიაწვა და ბურტყუნით მიმართა:

— გამიშვი, ამხანაგო! გამიშვი შენი... რა გინდა, რას მიჭერ შე ლეჯანდო! ერთი საწყალი კაცი ვარ! რა გინდა ჩემგან! — მაგრამ ბოძი ადვილიდან არ იძროდა.

დიდი წვალების შემდეგ როგორც იქნა ბოძმა „გულა“ თავი დააღწია „მოწინააღმდეგის“ და აქეთ იქით უმიზნო ხეტიალი დაიწყო.

— რას ეძებ, ამხანაგო? — შეეკრთა მეგზოვე.

— არაფერს, რეპტორანშია ლი ტრიანი დამოხა და...

— მერე აქ რად ეძებ?

— ვა, ხოში აქა მაქვს და აქ ვეძებ, რა შენი საქმეა, შენი... ლახათიანად შეუკუროთხა მეგზოვეს და გზას გაუღდა.

— ფრთხილად რაინდო, მანდ ნანანს რედაქციაა და ფათერაკს არ შეეყარო.

— რაო? ნიანგო?! — გაკვირვებით იკითხა გულამ და სრულიად გამოფხიზლებული უკან გაბრუნდა.

გულა ილურიძე მარტო ეხლა არ გამოფხიზლებულა. ის დიდი ხანია ფხიზლად ჰამს კოლმეურნეობის ქონებას და იმედია რაიონის საკონტროლო ორგანოებიც გამოფხიზლდებიან.

დატყვევებული ოქმები

— გვი-შეე-ლეთ! გაგ-ე-ქ-ყლი-ტეს! — ყვიროდა მაუდის ქვეშ ამოდებული ოქმი, სიგრძით 2 მეტრი, სიგანით სიგრძის მეოთხედი და შველას მოითხოვდა.

— ჩვენი ცოდვა ქონდეს მე-25 შრ. სკოლის დირექტორს — ყენიას,

ნიანგო ჩემო იმელო, მტრებს არ ვახარებ, ალარა, შენმა ძნელოლომ ამ ბოლოს გადავიბარე აგარა.

— აქ ტრაქტორების სადგურში არ არის რიგი, წესი; აღენიშნოთ ნაკლი, ფაქტები ყველაზე უკეთესია. ორმოცდა ათზე მეტი გვეყავს ტრაქტორი ჯანით მაგარი; ზოგს ის აკლია, ზოგს ესა, ზოგს კი მრავალი საგანი. ზოგჯერ სახნავედ გასული ისევე უკანა ბრუნდება; სალი ტრაქტორი დაჭრილის უკან მოყვანას უნდება.

— აქ სასადილოს განაგებს ვაცი ალექსი წყეული, ის არის გამგე, მოლარე მოპტანი და მზარეული. მას რევიზია არა ყავს ვინ დაითვალოს ზარალი! მისი ჯიბეა დახლი და მისი ჯიბეა სალარო. აქ სამკითხველოს ვამგისა არის რუხაძე გვარია, კულტმუშაობა „ბარიშნამ“ აადომხალა არია. (სამკითხველოში ვერ ნახავთ დაკეტილი აქვს კარია).

რომელმაც კრებაზე დადგენილებაც გამოგვიტანა, დაგვაწყო მაუდის ქვეშ და შესრულებაზე ალარ ზრუ ნავს.

— ჰატ, თქვე დასაფხრეწებო თქვენა! — შეუყვირა დირექტორმა — ვერ მოვცათ ამდენი ლაბარაკის უფლება?! აბა — მიუბრუნდა საქმისმწარმოებელს — შეაწერე ამათ თითოს ორასიმანეთი, თორემ ისე ჰკუთს ვერ ისწავლიან!

— ვის ბატონო, ოქმებს ფული შეეაწერო?!

— შეაწერე, არ გადისდიან — მოწაფეებზე გადაიტანე, ისინიც თუ არ გადისდიან სხვას შეაწერე, არა და შენ მოავგარე, მე ისედაც დეტვირთული ვარ! — მიაძახა საქმის მწარმოებელს დირექტორმა და კარი გაიხურა.

შარკუში.

ვარგავს წიგნებს და ბროშურებს უურნალებსა და გახეთბს, ნიანგო, ერთი გვესტუმრე, ჰქუა ასწავლე ასეთებს.

— ისე ვავიდა ზამთარი შეშა ვერ ვნახეთ თვალითა. ალარ ვარ იგი, რაც ვიყავ წითელ ჯანით და ძალითა. წაწყდეს კონობის ბებია, გაგვხადა შეშის მარხული, ახლა იძახის: „მოვიდა, მისი ჭირიმე, ზაფხული“.

გვეყავს ერთი ავტო საწყალი, „ხმის ველარ იღებს“ შიშითა ხან მდინარეში აგდებენ, მოტორს ავსებენ ქვიშითა, ხან დიდ ტალახში აკურებს „მოფერი „ონერ-ტიალსა“ ატირ-აკენსებს მანქანას უტენავს გულის ფრიალსა

ექვსი თვე იწვა ლოგინში ძლივს მოაბრუნეს იგია; ახლა კი მისი დამტვრევა განდა შალიკოს რიგია. ნიანგო, ჩამოგვიარე, ნალესი ჩანგლის წვერიითა, კერძი შხად არის იცოდე საკმაშით ყველაფერიოთა.

„გულოგულოები“ მუთაისის კედინსტიტუტი

ქუთაისის პედინსტიტუტს ბულობულები შეეპარა, მათი საკითხი ისმება პედ - კრებაზე წარა-მარა.

ყოველ დეკადის ბოლოში ახალი რამ ხათა ჩნდება, ინტრიგები, ჭორაობა, ლექცია და შემდეგ კრება!

ინტრიგანობს სხვებზე მეტად კოკაია და კიტია, ზარნაძესაც სიტყვა უყვარს, საქმე ფეხებზე ჰკიდია.

სწავლას ალარ გვანებებენ, საგნები გვაქვს მეტად რთული, ინსტიტუტის დირექტორი, ამოუსვი ნიანგო-

„ზივი ზივი“



სტაჰინცკის ავიორის ბამო

(ფურნალისტი), 5. ბონორი (ვექი-ლი, დეპუტატი), 6. კიაბი (პოლიციის პრეფექტი), 7. პრესარი (სახამარ თლოს მოხ.), 8. შოტანი (ყოფ. პრემიერი), 9. საფრანგეთის რესპუბლიკა. 10. კაბიტალიზმი.

უკმაყოფილო

გერმანიის დიქტატორი პიტლერი ბერლინის ერთ-ერთ სკოლას ესტუმრა.

მან მოწაფეებს ასეთი შეკითხვები მისცა:

- შენი სახელი?
- ფრიცი, ბატონო კანცლერი.
- რომელ პარტიას ეკუთნი?
- ნაციის პარტიას ბატონო კანცლერი.

— ჩინებულია! ჩინებულია! — შემდეგ სხვა მოწაფეებს მიმართა:

- შენი სახელი?
- კურცი.
- რომელ პარტიას ეკუთნი?
- ნაციისას, ბატონო კანცლერი!
- ჩინებულია!.. შინ?
- ჰენრიხი.
- რომელ პარტიას ეკუთნი?
- ნაციისას, ბატონო კანცლერი!
- ჩინებულია! შენ რა გქვია?
- ვილჰელმი.
- რომელ პარტიას ეკუთნი?
- ნაციისას, ბატონო კანცლერი!
- ჩინებულია! საუცხოოა! — სთქვა პიტლერმა, მაგრამ ამ დროს უკაა პარტახე ერთი ბავში შეამჩნია რომელიც სახე შეუცვლელად იჯდა და სტუმარს თვალს არ აშორებდა.


— შენ რა გქვია?

- არტური, ბატონო კანცლერი.
- კეთილი, კეთილი! რომელ პარტიას ეკუთნი?
- კომუნისტურს.
- რაა? — კომუნისტურსო?! რისთვის!.. როგორ ზედაე?! — არ ვიცი ბატონო კანცლერი, ჩემი ოჯახის ყველა წევრები კომუნისტები არიან და ამიტომ მეც კომუნისტი ვარ.

— აი, თურმე, მიზეზი! დავუშვათ, რომ შენი ოჯახის ყველა წევრები ქურდები და ავაზაკები არიან; — მაშინ შენ რაღა იქნები?

— ნაციის პარტიის წევრი ვიქნები, ბატონო კანცლერი!

(„მონ კამრად“. ფრანგული პიონერების ჟურნალი, პარიზი).



მასწავლებელი: — რა შეიძლება ითქვას ძველი ტექტონების შესახებ?  
მოსწავლე (შეშინებული): — ძველი ტექტონების?! კარგის გარდა არააღიერი ბატონო მასწავლებელი.

„ააქმის“ ხალხი

დანიელები ბედნიერი ხალხია: იქ მეფეები, პრინცები და პრინცესები ჯერ არა თუ არ გადაშენებულს თავიანთ უფლებებში არიან. ერთერთი ფრანგი პუბლიცისტი, რომელმაც თავისი ბავშობა დანიის ოჯახში გაატარა, გულწრფელად მოგვითხრობს მეფის და პრინცების „საქმიან“ და „კულტურულ“ ცხოვრებას.

სასახლეში სტუმრებს იშვიათად ლებულობდენ. პრინცები უმეტეს ნა-

წილად ქალაქ გარეთ სეირნობდენ და ყოველ კვირაობით ოპერაში დადიოდენ. დანიელებს პრინცები ძალიან უყვარდათ და ანტრაქტის დროს მეფის ლოჯას თვალს არ აშორებდენ. ლოჯაში მყოფი პრინცები უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდენ; განსაკუთრებით უხერხული იყო ჩუმად ყოფნა. საჭირო იყო გაცხოველებული კამათი. საკამათო კი არაფერი ქონდათ, და რომ მაყურებლის თვალში „გაცხოველებული კამათის“ შთაბეჭდილება შეექმნათ, პრინცებმა და პრინცესებმა ასეთ ხერხს მიმართეს:

- ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი! — იწყებდა პრინცი.
- შეიდი, რეა, ცრა, ათი. — უბასუხებდა პრინცესა.
- თერთმეტი, თორმეტი, ცამეტი, თოთხმეტი! — ჩაურთავდა პრინცესა ინგებოროგი.
- თუთხმეტი, თექვსმეტი, ჩვიდმეტი, თერამეტი, ცხრამეტი, ოცი, ოცდაერთი! — ჩამოართმევდა „აღუღვებული“ პრინცი.

ბედნიერი დანიელები თვალს არ აშორებდენ „მოკამათე“ პრინცებს და შორიდან ტყებოდენ მათი „გონება მახვილობით“.




# ნიგუზიანი

(ბურთა)

„ნიანგიანთა“ რომ საკბილია  
 რამე დაქვეყნა,  
 მე სიფსაბჭოს მიუდგეჭი  
 უცებ დასაზვერადა.  
 მაგრამ კარზე იქ წაფაწყდა  
 ბოქლომს, ოდენს კვანის,  
 ზედ დანადებს კეთილ ნდომით  
 არა ცუდ ვანზრახვით!  
 რა უყოთ, რომ თავმჯდომარე  
 მოსულიყო ადოი,  
 და საქმეზე მოსულებმა  
 საყვედური ჰკადრეს.  
 გარედ იდგა, ვასაღებო  
 მას აო ჰონდა რაკი,  
 მდივანი ე. არსად სჩანდა  
 და აოც ვინ - მუშაკი!  
 დერეფანში ვერ შეველი  
 ბული იდგა მტვერის,  
 ვთქვი, თუ ვსურდეს ვაიგულოს  
 შიგ შეავლე მტერი!  
 ფოსტიდანაც მოისმოდა  
 გაზეთებზე დავა,  
 თუ ვის მიაქვს სჩანს არ არის  
 კაცი გამკითხავი.  
 ვაფიფიქრე სამკითხველოც  
 ვნახო ერთი უნდა,  
 რადგან მასზე ვაგონილი  
 ცუდი რამე მქონდა.  
 მაგრამ ნახვა გამიძინელდა,  
 რაზეც მაწივს დარდი,  
 შორს, ჯერღმულში დაუმალავთ  
 „როგორც მტერი ბარგი“.

„ბრიალეთის (ოზ. რაიონი) კოლმეურნეობის მანქანა-იარაღები სკოლის ეზოში ყოფი და ბავშვების სათამაშოთა გადართვით“



— ჩუმად ვითამაშოთ, მეგობარო, თორემ კოლმეურნეებს თესვა მოაგონდებათ და ტრაქტორს წაგვართმევენ.

მას ადვილზე სახვაჭრობა  
 ვითომც გაუძარათათ,  
 აღარც იგი ბედოვლათობს  
 მე თუ მკითხავთ მართალს  
 სამკითხველომ წააჭარბა  
 ჩემს ყოველგვარ ლოდინს.  
 მაგიდაზე იქ მე ვზნდაე  
 კობტად გაშლილ ლოგინს.  
 ახალ გამგეს შიგ იძინა,  
 მეტად მშვიდი ძილით,  
 მაგრამ დაფრთხა რა ვერ შეველ  
 შიგა მე სიტყვითილით.  
 და უაზროდ შემეკითხა  
 „ნიმოვსულად რაზი“.

ბოდიშითა მოვანსენე: —  
 — თუ ჰიბოძებთ გაზეთს,  
 მაგრამ გამგემ გაოცებით  
 შეძღვევი რამ მითხრა:  
 — ვაზეთს არა მე წამილებს  
 აქაური ვიროთა!  
 აქ მკითხველი ვინ შემოვა  
 ცუდათ ეხარჯო ფული?  
 ნიკიარს მი რად შევიქენი  
 ბედით დაჩაგრული!  
 გამოვბრუნდი უკან წყენით  
 თავდახრილი მძიმედ,  
 ეჭ, რა ცუდათ ჩვენ ვამყარებთ  
 „ოიგირთში იმედს“.

დასუნდარიძე

## ..ახ რაღაოო რაღაოო

(ჭუთაისელ შიგაშილ მიკიტნის დომენების სიმღერა)



ოხ, რაილო, რადიო, ევროპაში წადიო,  
 მენშევიკებს მიაკითხე: რად არ ჩამობრძანდიო,  
 თორმეტს კიდევ მიემატა ერთი წელიწადიო,  
 რაც ჩვენ თქვენსა მოლოდინში დავალთ, როგორც ლანდიო.  
 მომინახე მეგობრიბი, პაჭუ, ჰიპუ რადიონ.  
 გლადეცი ჩემი დარდი. ოხ, რადიო, რადიო!  
 უთხარი, რომ იმ დღეებში სადაც შენ უკრავდიო,  
 საარსა და „დიპლომატიოს“ და ნაჩაუ ფულოს ხრავდიო,  
 მუშკოპია გამართული, ჩვენ კი როგორც „ანტიო“,  
 გულდა-ნაბად აკიდული ვართ. გამოგვდევს კვანტიო.  
 მიკვირს იმდენ დარდისაგან, რაც მე ჩვენა აქამდიო,  
 რითი აკოვხოლობ ან ჰკუაზე რატიო არ შევქანდიო.  
 წადი, წადი, ევროპაში, ოხ რადიო, რადიო! —  
 მენშევიკებს მიაკითხე: რად არ ჩამობრძანდიო,  
 თორმეტს კიდევ მიემატა ერთი წელიწადიო.  
 რაც უთქვენოდ ვიხრუკებით, დავალთ, როგორც ლანდიო.

# ქაენი

**ფლვდელი გააქლო ფლავითა,  
ფლივანება, ჩვიანა ღავითაჲ!**

(სოფ. კაცხი, ჭიათ. 2  
კომუჯრედის მდივანა  
მოდებამ ღადითმ.  
ბაგშის ნათვლა გამართა  
და სახელი გაითქია!



მოიწვია მამათ  
მან თლართი შავითა,  
უწყალობა ჭანჭარი  
თან გააძლო ფლოვითა!

**ფგნათმს საჰმე წაუხდა  
ბედი სანანოდ გაუხდა**

(ს. ლუთხ უბი, თიანეთის რ.)  
„მედაფოგმა“ ფგნატიმ  
შეირცხვინა თავო,  
ჩაიღინა ბეგოი რამ



**საგმობ-საკიცნავი!**  
მოწაფეებს უბრძანა  
მომართვითო—შეშა,  
გინც არ შეუღსრულდა  
ცემით გააშეშა!

**რალავამ ლოთის,  
უქვარს ჩხუბი ფვოთია.**

(ქუთაისი-  
ჩესრიგის დამკვილი  
უწესო გამხდარა,  
იფვიზორი ვახლოვთ  
პალავადე გვარად!  
კვარკით უყვარს ხუნგა  
ჩხუბიც წარა-ძარა!  
კომუჯრედის მდივანს  
საქმი გა-ემწარა!



და მუშტი მავარი  
თავში ჩააფარა!  
ნიანგო, მიირთვი  
ეს გვაბი უშვირი,  
უთავაზე ერთი  
ბასრე ჩანგლის წვერი!

**შიგვილით განაფარაბი  
უკვე იმსავარალეს ხარმბი!**

(რაგერი)  
თესვის დროა უკვე,  
გათავდა ზამთარი,  
ცაგერი თესვისთვის  
ჯერაც მზად არ არის!  
კოლმეურნეობას  
ძილი ფლომს მავარი,  
უქმელობით ბეგვი  
დაებოცა ხარა.  
თავმჯდომარე ამბობს!  
„არ მიმიძღვის ბრალი.  
მე ვარ თავმჯდომარე.  
არა ბეითალი!  
პე ჩემი ბირნათლად  
შეგვასრულე იალი,  
ხარკი მჭირდებოდა,


**მარებიც დაგვალის!**  
იანც მე დამდებს ბრალისა



არის როც ანი,  
მე ვარ თავმჯდომარე  
მიხა ჩხეტინი,  
მხარე მამარია  
მალალ ქელიანი,



ქამა-სმაშიც ქე ვარ  
კოტა ბელიანი!  
ასე ამბობს მიხა  
ვაყვაცი მსუქანი,  
კოლმეურნეობა  
ცაგერის უბანის—  
გონია მიხაკოს  
თავისი დუქანი,  
ცაგერს გი არა აქვს  
სახნავი გუთანნი!



— რა გეჩქარებოდა კოკინავ რომ იზადებოდი, არ იცოდი რომ თივა არ გეჭონდა?!

### ჩიფათა და ხუსნიც (კოკულაქისათვის)

— კოვ, ხუსნიც, ამ სადგურის ვასირმა რომ ფოჩტა მატარებელზე ბილეთები არ მოგვცოდა და ქალაქის სადგურში გაგვრგვა, რეიზა ქნა კოვ აგი?  
— რიფათავ, შენ ბეჩო, ვერ ღვინა ზე რომ ქალაქის სადგურის ვასირმა 1 მ. 60 კაბ. ბილეთში 2 მანეთი გადა ვგაშლევქა? თორი აბაზი ვის ჯიბაში

ჩეიდვა კოვ, მაგი არ იცი? რალას შიგბლაცუნები ბათომში?  
— რიფათავ, კოვ, ჩემ ღღეში მაში ნით ვიარები და პირველად ვნახე, რომ რევიზორი ვავონის კუბეში ჯდა ნა და იქიდან მოუწოდებს მგზავრებს „ბილეთები აქ მომართვით ჩქარა, თვარა ჯარობა 42 მანეთი იქნებაო!  
— ხუსნიც, თავს მთლად ნუ ვეი-ბეჩეფ, მაგი კოვ, ახალ გამოგზავნი-ლორ რევიზორი მაჭავარიანია და მედიდვაცებს!  
— რიფათავ, მაგას თავი დავანე-

ბოთ, აგერ ჩამოჯვდი, შენთან სათ-ქმელი რამე მაქ, შენ რაცხა გაზეთს კი კითხულობ და რომ იცახიენ ფასების დაკლებათ, აგი ჩეენი მე-წუღეების არტელი რომ არის აქნაი, მაგან რომ აუწია და აუწია ამ ბოლო ღროს ფასები, პატრონი არ ყავს მა-გენს კოვ?  
— ხუსნიც, რას ებლაცუნები პატ-რონი რავა არ ყავს, მარა მას და მის ცოლს არ ეყო მაგი და მისიანაი სა-მი არტელი კილო ქობულეთში!  
კ. მატანტალა.



„ჩაითვალოს გაუშვებულად“

სოფ. კმთილარი. (აბაშის რაიონი) ამ დღეებში გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვილი ს. კეთილარის მოტორის წისქვილის გარდაცვალებიდან სამი წლის შესრულების გამო. სოფლის მოასხლეობის საერთო კრებამ დაადგინა წისქვილის შექმნისათვის დახარჯული რამოდენიმე ათასი მანეთი ჩაითვალოს გაუქმებულად.

— ადგილობრივ კლუბში, სადაც დასილოსებულია სოია — დაიწყო წარმოდგენების მართვა ვირთაგების მიერ. არტელის გამგეობას აზრად აქვს თავის საპატიო წევრად აირჩიოს უპატრონო კლუბში კულტმუშაობის ანკვიტორი ვირთაგები. მფერი

„ფინდანი“ კვდაგოვი

სოფ. სიხათრვა. (ჩხარის რაიონი) რაიონის ნახუცართა და ნალიაკნართა ძმობამ წმინდანად გამოაცხადა და თავიანთ საპატიო წევრად აირჩია პედაგოგი კ. ცხადაძე, რომლის რჩევითაც მისმა მამამ ისმელიმა „ხატზე გადასცა“ საკუთარი ვენახის ამჩიხი მაინებლები.

ეწერელი

საბაქარის შემთხვევა

ჭიათურა. უგზო-უკვლოდ დაიკარგა მალარო № 3-ის უფროსი მუშა მლატონი. ხმები გავრცელდა. ვითომ მთვრალი პლატონი გადაჩეხილიყო ხრამში. მუშებს ეს არ სჯერათ და ისევ მოელიან პლატონის გაძიჩენას და მისგან უხეშად მოპყრობას. კიათურელი.

დაკარგვა

აქვითი. დუბეთის რაიონის განათლების კავშირის მოსამსახურენი მუშაობით იუწყებიან, რომ უგზო-უკვლოდ დაიკარგა მათი რაიკომი, მხაველს ვთხოვეთ გვაცნობოს, რისთვისაც მიიღებს შესაფერს ჯილდოს.

შველი.

„მელის ჩასახველვლად“

რიონი. სადგურ რაიონის სამკიბიკიტნოსთან იპოვეს სიმთვრალით გონებადაკარგული უცნობი, რომელსაც რკინისგზის ფორმის ქუდი ეხურა. გამოძიებით გამოიჩვენა, რომ უცნობი პირი არის მემანქანე კოკაია რომელსაც მიეტოვებია სადგურში მდგარი საბარგო მატარებელი № 4004 და იქვე „შეებია“ სამიკიტნოში „ყელის ჩასახველვლად“. მიღებულია ზომები კოკაიას გამოსაფხიზლებლად. რიონელი.

(ახალდაბა)

ვის არ იცნობს სხადილოს „სულის ჩამდგმელ“ სიმონასა, ერთ ულუფად გადასანსლავს ზუთ ფუთიან ღორის თავსა. მის გაძლობას ვერ აუღის „ბუფეტრიკი“, მზარეული, და ვაჭრობის საქმე კი აქვს დომხალივით არეული! ქიბერიძე ვახლავთ გვარად, ფულებს ქაფავს, მღერის, ლხინობს, თუ მალე არ მოაშორეთ სოლ მთლად შიქამს, სხადილოს.

მაშინ მოკვდეს ალიომა, თუ ჩამორჩეს სიმონ „გმირსა“, აღმასკომის წისქვილიდან ლამამობით ზადავს ფქვილსა. არევაძე, შნო გქონია. — რაც შეიძლო ჰქაფე მინდი, თუ ყოჩაღად მოიქეცი ცოტა-ცოტას „ქეც“ გაჰყიდი.

ვაული

ვერ აღმოუჩინეს

— ჩვენს ბულატერს რევიზია დაეხსა. ვერაფერი ვერ უნახეს! — რალას უნახავდენ, როცა ვერაფერი გაუფლანავას.

„სარეწკოპკების ორი არტელის თავმჯდომარედ ითვლება ალ. ვობეჯიშვილი, რაიც კანონით აკრძალულია“



ალ. ვობეჯიშვილი: — ორი არტელის თავმჯდომარე ვაჟი მე არ ვიქნები ბიჭი, აღუქსა, თუ შესაძლებელია არ დავაარხო და თავმჯდომარედ არ დავინიშნო! სარეწკოპკებს კავშირის თავმჯდომარე რა არ შეუძლია! მეც იმას მხაზავი ვარ, რადა!

რეფერენტი. რკინის ვენახში რაიონის სამმშენებლოს სამართლებრივ № 4 წერტის გამგის კოლია დუნდუას შესახებ იწერებით: კოლას უყვარს ვინება მუშებთან იღრინება

— პურს იპარავს წონითა და ივსება ქონითა

— პურს აცოცებს, აპარებს, ნეტავ ხელს ვინ აფარებს? თუ ეს ასეა, სხვისი ხელი კი არა, საკუთარი მანდატიც რომ მიიფაროს (რომელიც თქვენი ცნობის თანახმად მას უბეში ქონია)— მაინც ვერაფერს უშველის.

— უახარს (აქვე) შემოიარეთ რედაქციაში. კონდილელს (მაჩხანი, სიღნაღის რაიონი) რეჟისორ გიგა მატარაძის „მიღწევების“ დასახასიათებლად საცმარისად მიგვარჩია თქვენი ლექსის ერთი კუპლეტი.

— თეატრი გვაქვს, მიღწევებში თეატრი ვერ დაწვავა. წარმოდგენა შიგ იდგმება ერთად ერთი მხოლოდ „რღვევა“.

— ალბად მატარაძეს პიესა „რღვევა“-ს შინაირსზე უფრო სახელი იზიდავს, რადგან თუ თქვენი თეატრის რეპერტუარი მხოლოდ ამ პიესით ამოიწურა, — მაშინ მატარაძის საქმიანობას ყველაზე მეტად მავ პიესის სახელი ახასიათებს.

— იაკინთეს (აქვე) სასტუმრო „პალასის“ გამფლანგველების შესახებ იწერებით:

— ჩვენს სასტუმროში „ნიანგო“, საქმეა გახაკვირები, დაუწოგავად გამრავლდენ ვირთაგებში და ვირები

— ვირთაგებები, როგორც სასამართლოს ქრონიკიდან ვიცით, უკვე მახეში გაებენ. რაც შეეხება ვირებს, რას უჩიით ამ პატიოსან ცნოველებს? მათი მანებში ვირთაგებებთან ვთანაბრება, თუნდაც რითმის შეწყობის ფულოსთვის, უმართებულოა.

— კის (აქვე) ვითმობთ რამდენიმე სტრიქონს იმ „ღობა სიამოვნების“ გამოსახატავად, რომელიც ბორჯომში მოგზაურობის დროს ვანგიცლიათ:

— რკინისგზელთა კლუბში მომეწონა ფარდა, ყველაფერი ვნახე წარმოდგენის გარდა.

— ალბად იქაური კულტმუშაობის შესვეურნი დარწმუნებულნი არიან, რომ რაკი ფარდა დაწეულია, მუშების კულტურული დონე აწეულია.

# იმის უესახებ. თუ როგორ აწყარებენ „საყოველთაო მშვიდობიანობას“ გეგმავლებოვანთა კოლმეურნების თავმჯდომარე და რაიმიწვანის გამგე

ნახ. ქოქიაშვილის.

„სიღნაღის რაიონში კოლმეურნების მექრობეობის ფერმაში იორზე „წითელ არშობაკში“ ცხენები, ცხურები და მკვე ძროხები ერთად არიან მოთავსებული... ცხენების წიხლის ვარტყმით გაბერო წდა ორი ძროხა და 10 ცხვარი. კოლმეურნების თავმჯდომარე და რაიმიწვანის გამგე არ იწუხებიან თავს“.

გაზ. „კოლექტივიზაცია“ № 70



— ეს მგელიც აგათთან ჩავესახლოთ, და ჩვენი ნაბვრავსკრულეზული იქნება, როგორ „მგელი და ცხვარი ერთად კოვდენ ბალახს“.